

**გაზომვათა განუსაზღვრელობის თაორიის გამოყენება ბუნებრივი აირის  
სარჯის მრიცხველების დამოწმება-დაკალიბრების მოცავეების  
დამუშავებისა და საბოლოო შედეგის გაფორმების პროცესები**

რევაზ ქვანია, თამარ მენაბედე, გიორგი მაისურაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ბუნებრივი აირის ხარჯის მრიცხველების დამოწმება-დაკალიბრების მეთოდიკის დამუშავებას, რომელიც მისადაგებულია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. გადმოცემულია გაზომვათა მონაცემების დამუშავებისა და მიღებული შედეგების კორექტული გაფორმების წესი, განხილულია რეალური პრაქტიკული გაზომვის მაგალითი.

**საკანონი სიტყვები:** დამოწმება-დაკალიბრება. აირის ხარჯი. დასაკალიბრებელი მრიცხველი. სანიმუშო მრიცხველი. სტანდარტული ჯამური, გაფართოებული განუსაზღვრელობები. განუსაზღვრელობის ბიუჯეტი.

### 1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ავტორთა ამავე ჯგუფის მიერ ადრე გამოქვეყნებული ნაშრომის ლოგიკურ დასრულებას. მიზანშეწონილად მიგვიჩინა აქ გამოყენებული ზოგიერთი დებულებისა და ფორმულის ციტირება. კერძოდ, ძირითადი ფარდობითი ცდომილება, რომლის ანალიზის საფუძველზეც ხდება ბუნებრივი აირის ხარჯის დასაკალიბრებელი მრიცხველების (შემდგომში-დდ) მეტროლოგიური შემოწმება, ასე გამოისახება:

$$\delta = \left[ \frac{v}{v_0} \left( 1 - \frac{\Delta p}{p} \right) - 1 \right] 100\% \quad (1)$$

სადაც  $V(\theta^3)$  არის დმ-თი გაზომილი ჰაერის მოცულობა,  $V_0(m^3)$ -შეთავაზებული საკალიბრებელი სტენდის მოწყობილობაში შემავალი ეტალონური მრიცხველის (შემდგომში-ემ) კორექტირებული ჩვენება მასში იგივე  $V$  მოცულობის ჰაერის გავლისას,  $P$ -აბსოლუტური წნევა სტენდში,  $\Delta P$ -აბსოლუტური წნევათა სხვაობა დმ-სა და ემ-ში, (1) ფაქტობრივად წარმოადგენს გაზომვის განტოლებას, ხოლო  $V$ ,  $V_0$ ,  $\Delta P$  და  $P$ -შესასვლელ სიდიდეებს. გაზომვის პროცესში ემ-ში ვატარებთ  $t$  (წმ) დროის განმავლობაში  $V_{\text{ემ}} = Qt$  (2) მოცულობის ჰაერს, სადაც  $Q$  ( $m^3/\text{სთ}$ ) ჰაერის მოცემულ (სტენდზე წინასწარ დაყენებული) ხარჯია, ხოლო  $t$ -წამმზომით ათვლილი შესაბამისი დრო,  $V_{\text{ემ}} = \frac{V_0}{\Delta P} \cdot t$  წმ-ს ჩვენება. კორექტირებული მოცულობა  $V_0 = V_{\text{ემ}} \cdot (1 + F/100)$  (3).  $F$  ცდომილება შეიძლება ვიპოვოთ მოცემული  $Q$  ხარჯისა და დმ-ის ტიპის მიხედვით [1]. დაკალიბრების ძირითადი მიზანია განისაზღვროს  $\delta$ -ს გაზომვის ჯამური განუსაზღვრელობა

$$U_c(\delta) = \sqrt{[C_v U(v)]^2 - [C_{v_0} U(v_0)]^2 + [C_{\Delta p} U(\Delta p)]^2 + [C_p U(p)]^2} \quad (4)$$

(4)-ში მონაწილე მგრძნობიარობის კოეფიციენტებთაოვის გვაქვს [1]:

$$C_v = \frac{\partial \delta}{\partial V} = \frac{100}{V_0} \left( 1 - \frac{\Delta p}{p} \right) = LM \quad (5)$$

$$C_{v_0} = \frac{\partial \delta}{\partial V_0} = \frac{-100}{V_0^2} \left( 1 - \frac{\Delta p}{p} \right) = -LMN \quad (6)$$

$$C_{\Delta p} = \frac{\partial \delta}{\partial \Delta p} = -\frac{100V}{V_0 p} = LR \quad (7)$$

$$C_p = \frac{\partial \delta}{\partial p} = \frac{100V \Delta p}{V_0 P^2} = C_{\Delta p} (M - 1) \quad (8)$$

სადაც  $L=100/V_0$ ;  $M=1-\frac{\Delta P}{P}$ ;  $N=V/V_0$ ;  $R=V$  (P) კონსტანტებია, რომელთა გამოსათვლელად საკმარისია ვიცოდეთ შესასვლელი სიდიდეების შეფასებული საშუალო მნიშვნელობები. რაც შეზება სტანდარტულ განუსაზღვრელობებს, მათგან  $U(V)$  და  $U(V_0)$  განისაზღვრება  $A$  ტიპის მიხედვით, ამასთან  $V$  და  $V_0$  სიდიდეებისათვის შეფასებად მიიჩნევა  $\bar{V}$  და  $\bar{V}_0$  საშუალო არითმეტიკულები [1]:

$$U(V) = U(\bar{V}) = \sqrt{\sum_{i=1}^n \frac{(V_i - \bar{V})^2}{n(n-1)}} \quad (9); \quad U(V_0) = U(\bar{V}_0) = \sqrt{\sum_{i=1}^n \frac{(V_{0i} - \bar{V}_0)^2}{n(n-1)}} \quad (10)$$

რადგან, ჩვეულებრივ,  $n < 10$ , ამიტომ [2]-ში მოცემული რეკომენდაციის თანახმად მიზანშეწონილია (9) და (10) ფორმულებით გამოთვლილი  $U(V)$  და  $U(V_0)$  რიცხვების გამრავლება მაკორექტურებულ მამრავლზე  $K_n=(4n-3)/(4n-4)$  (11).  $U(\Delta P)$  და  $U(p)$  განუსაზღვრელობის გამოთვლა ხდება  $B$  ტიპის მიხედვით. დაწვრილებით ამ საკითხს შევუჩებით ნაშრომის ძირითად ნაწილში.

## 2. ძირითადი ნაწილი

ამ ნაწილში განიხილება კონკრეტული მაგალითი ბუნებრივი აირის ხარჯის მრიცხველების დამოწმება დაკალიბრების პრაქტიკული სფეროდან. 1-ელ ცხრილში მოყვანილია ძირითადი ფრაგმენტები იმ რეალური ცხრილისა, რომელიც შედგენილი იყო მეტროლოგის ინსტიტუტის მექანიკის განყოფილებაში გაზის საყოფაცხოვრებო ტურბინული მრიცხველის დაკალიბრების პროცესში.

ცხრ.1

ნიმუშის ტიპი	დრო, წთ. წე	ეტალონური მრიცხველი		ეტ.მრიცხ გატარებული მნიშვნ. $V_{\text{ეტ}} \text{m}^3$	დასაკალიბრებული მრიცხველი				დასაკ. მრიცხვ. გატარებ. მოცულ. $\text{m}^3$	წნევა ათა სხვა ობა $\Delta P$ , მბარი			
		ჩვენებები, $\text{m}^3/\text{სთ}$			საშ. წნევის გარენა $P$ ბარი	აბს. წნევა, მბარი	ჩვენებები, $\text{m}^3$						
		საწყისი	ბოლო				საწყისი	საბოლოო					
G250	11.30	6050.3	6060.3	10	0.000	965	0214089.70	0214099.96	10.26	0.00			
	11.30	6060.8	6070.8	10			021410048.48	0214110.73	10.25				
	11.30	6071.3	6081.3	10			0214111.24	0214121.50	10.26				
	11.30	6081.8	6091.8	10			0214121.98	0214132.24	10.26				
	11.30	6092.2	6102.2	10			0214132.66	0214142.88	10.22				
G1000	11.44	94718.0	94768.0	50	0.002	957	0213816.26	0213866.46	50.20	2			
	11.42	94771.0	94821.0	50			0213869.46	0213919.64	50.18				
	11.43	94823.0	94873.0	50			0213921.64	0213971.80	50.16				
	11.42	94875.0	94925.0	50			0213973.80	0214023.96	50.16				
	11.43	94927.0	94977.0	50			0214025.96	0214076.14	50.18				
G1000	11.49	94280.0	94360.0	80	0.006	953	0213378.95	0213458.86	79.91	7			
	11.57	94365.0	94445.0	80			0213463.85	0213543.66	79.81				
	12.00	94451.0	94531.0	80			0213549.65	0213629.54	79.89				
	12.03	94535.0	94615.0	80			0213633.50	0213713.40	79.90				
	12.04	94619.0	94699.0	80			0213717.40	0213797.30	79.90				

დასაკალიბრებლად გამოყენებული იყო უკვე აღწერილი საკალიბრებელი სტენდი. როგორც ცხრილიდან ჩანს, საკონტროლო გაზომვების სერიის პირველი 5 ცდა ჩატარდა  $V_{\text{ეტ}}=10\text{m}^3$  მნიშვნელობებისათვის. წამშომის საშუალებით ფიქსირდებოდა დროის შუალედი, რომლის გავლის შემდგაც ეტალონური მრიცხველის (G250 ტიპის) საბოლოო და საწყის ჩვენებებს შორის სხვაობა

ხდებოდა 10მ3-ის ტოლი. ამ მომენტისათვის ხდებოდა წამმზომის გამორთვა-წამმზომის ჩვენებები დაფიქსირებულია ცხრილი 2-ის II სვეტში, ხოლო V სვეტში -  $V_{\text{ეტ}} = 10\text{m}^3$  მნიშვნელობები. საკონტროლო გაზომვების შემდეგი ხუთეულები ასეთივე მეთოდით ტარდება იმ განსხვავებით, რომ ამ დროს მუშაობს საკალიბრებელი სტენდის მეორე არხი, რომელშიც ჩართულია 1000 ტიპის სანიმუშო მრიცხველი და წამმზომის თიშვავნ იმ მომენტისათვის, როცა სანიმუშო მრიცხველის საბოლოო და საწყის მნიშვნელობებს შორის სხვაობა მიაღწევს 50 მ3-ს (ცდათა მეორე ხუთეულისათვის), ან 80მ3-ს (ცდათა მესამე ხუთეულისათვის). ანალოგიურად ფიქსირდება წამმზომის გამორთვის მომენტებისათვის დასამოწმებელი მრიცხველის საბოლოო ჩვენებებიც და შესაბამისად, მის მიერ აღნუსხული გატარებული გაზის მოცულობები (იხ. ცხრ.2).

ცხრ.2

		ღრო წოწმ [სთ]	მძღ. ხარჯი მ3/სთ	F %	$V_0$ (კორექ- ტორი) მ3	(შეფას) მ3	U( ) $\times 10^{-5}$ მ3
1	I	11.30 [0.191(6)]	52.17391	0.6311	10.06311	10.06313	2.125
2		11.30 [0.191(6)]	52.17391	0.6311	10.06311		
3		11.30 [0.191(6)]	52.17391	0.6311	10.06311		
4	G250	11.31 [0.1919(4)]	52.09841	0.6321	10.06321	49.92107	1.164
5		11.30 [0.191(6)]	52.17391	0.6311	10.06311		
6	II	11.44 [0.19(51)]	256.68118	-0.15795	49.92103	79.92936	0.03
7		11.42 [0.195]	256.41026	-0.15782	49.92109		
8		11.43 [0.1952(7)]	256.04552	-0.15787	49.92107		
9	G1000	11.42 [0.195]	256.41026	-0.15782	49.92109	79.92689	73.385
10		11.43 [0.1952(7)]	256.04552	-0.15787	49.92107		
11	III	11.49 [0.1969(64)]	406.20592	-0.08830	79.92936	79.92689	73.385
12		11.57 [0.1991(6)]	401.67364	-0.09091	79.92727		
13		12.00 [0.2]	400	-0.09185	79.92652		
14	G1000	12.03 [0.2008(3)]	398.34025	-0.09279	79.92577	79.92689	73.385
15		12.04 [0.20(1)]	397.79006	-0.00311	79.92551		

ცხრ.2 გაგრძლება

	V მ3	(შეფას.) მ3	U ( ) $\times 10^{-3}$ მ3	$\Delta P$ მბარი	U( $\Delta P$ ) $\times 10^{-2}$ მბარი	P მბარი	U(P) მბარი	$\delta$ (შეფას.) %	U( $\delta$ ) $\times 10^{-2}$ მ3	U( $\delta$ ) %
1	10.26	10.25	8.230	0	5.66187	965	2.22857	1.875	8.20	0.16
2	10.25									
3	10.26									
4	10.26									
5	10.22									
6	50.20	50.176	7.951	-2	5.66187	957	2.21010	0.721	1.70	0.03
7	50.18									
8	50.16									
9	50.16									
10	50.18									
11	79.91	79.882	19.418	-7	5.66187	953	2.20086	0.678	2.53	0.05
12	79.81									
13	79.89									
14	79.90									
15	79.90									

ცხრილში შეტანილია, აგრეთვე სტენდის მანომეტრით გაზომილი აბსოლუტური წნევების მნიშვნელობები  $P$  დასამოწმებელ მრიცხველში და  $U$ -სებრი წყლიანი მანომეტრით გაზომილი აბსოლუტური წნევების სხვაობა  $\Delta P$  დასამოწმებელ მრიცხველსა და სანიტუშო მრიცხველს შორის (ცხრილში წყლის სვეტის მიღიმეტრები გადაყვანილია მიღიბარებში) საკონტროლო გაზომვების ცდების სამივე ზუთეულისათვის. 1-ელი ცხრილის მონაცემების დამტეშვების მათემატიკური დამტეშვების შედეგები ასახულია მე-2 ცხრილში, რომლის II სვეტში წუთებითა და წამებით ათვლილი დროის ინტერვალები გადაყვანილია სათებში. ეს გადაყვანა აუცილებელია მიმდინარე Q ხარჯის გამოსათვლელად (III სვეტი), რომელიც თავის შერივ ძირითადი პარამეტრია  $F$  კოეფიციენტის ფორმულაში {იხ. (1-ში (4))} რომელზე გამრავლებითაც ხდება სანიტუშო მრიცხველის მიერ გატარებული მოცულობის კორექტირებული ( $V_0$ ) მნიშვნელობის განსაზღვრა ( $V_{\text{სვეტი}}$ ). მე-2 ცხრილში მოყვანილია აგრეთვე, ყველა შესავლელი სიდიდის სტანდარტული განუსაზღვრელობები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განუსაზღვრელობები  $U(V)$  და  $U(V_0)$  იანგარიშება (11) და (12) ფორმულების გამოყენებით ( $n=5$  მნიშვნელობის და 1-ელი ცხრილის მონაცემების საფუძველზე). მიღებული შედეგები გამრავლებულია მაკროექტირებელ მამრავლებზე  $K_p=K_c=17/16=1,0625$  [იხ. (11)].

იმის გათვალისწინებით, რომ  $\Delta\rho$ -ს გაზომვის ცდომილება (იგი იზომება  $U$ -სებრი წყლიანი მანომეტრით) არ აღემატება  $\pm 1\text{მ.წყ.ს}=\pm 9,80665 \cdot 10^{-2}$  მბარი და ამ ინტერვალში იგი მივიჩნიეთ თანაბარგანაწილებულ შემთხვევით სიდიდედ,  $U(\Delta\rho)=9,80665 \cdot 10^{-2}/\sqrt{3} \cong 5,66187 \cdot 10^{-2}$  მბარი.  $P$  წნევა იზომება მანომეტრით, რომლის ფარდობითი ცდომილება არ აღემატება 0,4%, ამიტომ  $U(P)=0,4 P / 100 \sqrt{3}$  და იგი იცვლება  $P$  წნევასთან ერთად გაზომვათა ერთი ზუთეულიდან მეორეზე გადასვლისას, რაც ასახულია კიდეც მე-3 ცხრილში. ამრიგად, უკვე შესაძლებელია განუსაზღვრელობის ბიუჯეტის შედგენა მისთვის საჭირო  $(6)\div(9)$  ფორმულების საშუალებით ვიანგარიშოთ მგრძნობიარობის კოფიციენტები, გაგმრავლით ისინი შესაბამის სტანდარტულ განუსაზღვრელობებზე და გამოვთვალოთ თითოეული შესასვლელი სიდიდის მიერ შეტანილი წვლილი ჯამური  $U_c(\delta)$  განუსაზღვრელობაში.

გაზომვითა ცდების ზემოხსენებული სამიერ ზუთეულისათვის ცალ-ცალკე შესაბამისი გამოთვლებისა და ანგარიშის სისწორის შემოწმების გაადვილების მიზნით მიზანშეწონილია ცალკე ვიანგარიშოთ ის კონსტანტები, რომლებიც მონაწილეობს მგრძნობიარობის  $C$ , კოეფიციენტების გამოსაზღებებში [(2).. (3)] და რომლებიც ინარჩუნებს მუდმივ მნიშვნელობებს გაზომვათა ცდების ზემოდასახლებულ ზუთეულებში. ამ გამოთვლების შედეგები ასახულია მე-3 ცხრილში.

ცხრ.3

N <sup>o</sup>	კონსტანტა	საკონტროლო ცდების I ზუთეული	საკონტროლო ცდების II ზუთეული	საკონტროლო ცდების III ზუთეული
1	$L=\frac{100}{V_0}$	9,93727	2,00316	1,25114
2	$M=1-\frac{\Delta\rho}{\rho}$	1	1,00209	1,00735
3	$N=\frac{\bar{V}}{V_0}$	1,01857	1,00511	0,99944
4	$R=\frac{V}{\rho}$	0,01062	0,05243	0,08382

წინამდებარე ცხრილის II სვეტში და  $\bar{V}_0$  და  $\bar{V}$  სიმბოლოებით აღნიშნულია  $V$  და  $V_0$  სიდიდეების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობები, რომლებიც შესაბამისი ზუთეულებისთვის გამოთვლილია 1 ცხრილის მონაცემების მიხედვით ფორმულებით  $\bar{V}_0=(\sum_{i=1}^5 V_{0i})/5$  და  $\bar{V}=(\sum_{i=1}^5 V_i)/5$ . რაც შეეხება  $\Delta\rho$  და  $\rho$  სიდიდეებს, თითოეული მათგანი მოცემულ ზუთეულში შემავალი გაზომვის ყველა ცდისათვის ერთი და იგივეა, რაც ასახულია კიდეც მე-2 ცხრილში. 2 და 3 ცხრილების მონაცემთა მიხედვით

შედგენილია განუსაზღვრელობის ბიუჯეტი (ცხრ.4), საიდანაც აშკარაა, რომ ჯამური სტანდარტული განუსაზღვრელობის შემადგენლობაში დომინირებს დასამოწმებელი მრიცხველის სტანდარტული განუსაზღვრელობა U(V), რაც საშუალებას გვაძლევს უგულვებელსაყოფად მცირე ცდომილების კრიტერიუმის გამოყენებით  $U_C(\delta)$  ჯამური განუსაზღვრელობის გამოთვლისას არ გავითვალისწინოთ შესაბამისი შესასვლელი სიდიდის მცირე განუსაზღვრელობა.

#### განუსაზღვრელობის ბიუჯეტი

ცხრ.4

N <sub>o</sub>	შესასვლელი სიდიდე X <sub>j</sub>	შევასტებული მნიშვნელობა $\hat{X}_j$	განუსაზღვ. ტიპი	სტანდარტული განუსაზღვრელობა U(X <sub>j</sub> )	მგრძნობიარობის კოეფიციენტი C <sub>j</sub>	წვლილი ჯამურ განუსაზღვრელობაში U <sub>j</sub> (δ)·10 <sup>-2</sup> %
1	V ( $\theta^3$ )	10,25 50,176 79,882	A	8.230 7.951 $\times 10^{-3} \theta^3$ 19.418	9,93727 2,00735 $\frac{\%}{\theta^3}$ 1,26034	8,17837 1,59604 2,44733
2	V <sub>0</sub> ( $\theta^3$ )	10,06313 49,92107 79,92689	A	2,125 1,164 $\times 10^{-5} \theta^3$ 73,385	-10,12181 -2,01761 $\frac{\%}{\theta^3}$ -1,25963	0,02151 0,00235 0,09243
3	$\Delta\rho$ (მბარი)	0 -2 -7	B	5,66187x10 <sup>-2</sup> მბარი	-0,10553 -0,10503 $\frac{\%}{\text{მბარი}}$ -0,10487	0,59750 0,59467 0,59376
4	P ( მბარი )	965 957 953	B	2,2286 2,2101 2,2009	0 -0,00022 $\frac{\%}{\text{მბარი}}$ -0,00077	0 0,04862 0,16947

(11)-ის გათვალისწინებით გვაქვს ( $n=5 \Rightarrow K_n=1,0625$ )

$$U_C(\delta)=\begin{cases} 8,20 \cdot 10^{-2} \% \\ 1,70 \cdot 10 - 10^{-2} \% \\ 2,53 \cdot 10^{-2} \% \end{cases} \quad (12)$$

ავირჩიოთ ნდობის დონე P=95%, რასაც ნორმალური კანონით განაწილებისას შესაბამება მოცეის კოეფიციენტი  $K=1,96$ . მაშასადამე, ( $1U=KU_C$  ტოლობით) თანახმად გაფართოებული განუსაზღვრელობისას გვექნება:

$$U=\begin{cases} 0,16 \% \\ 0,03 \% \\ 0,05 \% \end{cases}$$

რაც გაზომვის საბოლოო შედეგისათვის გვაძლევს (დამრგვალებით მეასურამდე):

$$\begin{cases} 1,7 \leq \delta \% \leq 2,02 \\ 0,69 \leq \delta \% \leq 0,75 \\ 0,63 \leq \delta \% \leq 0,73 \end{cases} \quad (13)$$

(13) ჩაწერილია გაზომვათა ცდების I, II და III ხუთეულებისათვის.

### 3. დასკვნა

ბუნებრივი აირის ხარჯის საყოფაცხოვრებო მრიცხველებისათვის სეთაგაზებული სამოწმებელი სქემისა და მეთოდიკისათვის განხილულია პრაქტიკული საილუსტრაციო მაგალითი, გამოთვლილია ძირთადი ცდომილება და მისი გაფართოებული განუსაზღვრელობა, რაც წარმოადგენს გაზომვათა შედეგების თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით გაფართოების საფუძველს.

**ლიტერატურა:**

1. Guide to the Expression of Uncertainty in Measurement/First edition- ISO/Switzerland. 1993/-101pg. Руководство по выражению неопределенностей измерения. Русский перевод. Научный редактор Слаев В.А. –Санкт-Петербург.-НПО ВНИИМ им.Д.И.Менделеева, 1999г.:134ст.
2. ISO 4006: 1981 Measurements of fluid in bosed conduits. Vocabulary and Symbols. (Измерения в закрытых каналах, Словарь и условные обозначения).
3. Colibration Certificate.Object: Volume gas meter G250. Serial # K39533103O1/A. Applicant: Georgian National Agensy for Standarts, Tecnhical Regulations and Metrology, 67 Chargali Street, GE-Tbilisi 0141.On behalf of PTB; Braunschureig, 2009-08-18.
4. Calibration Certificate. Object: Volume gas meter. Manufacturer: Actaris, Type: Turbine gas meter G1000, Serial #K395310401/1 Applicant: Georgian National Agensy for Standarts, Technical Regulations and Metrology, 67 CHargali Street, GE-Tbilisi 0141. On Behulf of PTB, Braunschureing, 2009-08-18.

**USE OF THE THEORY OF MEASUREMENT UNCERTAINTY IN PROCEDURES  
FOR DATA PROCESSING AND RESULTS OBTAINED BY CHECKING-CALIBRATION  
GAS FLOW METERS**

Zhvania Revaz, Menabde Tamar, Maisuradze Georg  
Georgian Technical University  
**Summary**

The work is dedicated to the certification of natural gas consumption meters - calibration methods for processing, which work out methods with the requirements of modern international standards, set out measuring data processing and the correct execution of the rules, illustrative examples of real, practical measurement.

**ПРИМЕНЕНИЕ ТЕОРИИ НЕОПРЕДЕЛЁНОСТИ ИЗМЕРЕНИЙ В ПРОЦЕДУРАХ  
ОБРАБОТКИ ДАННЫХ И ОФОРМЛЕНИЯ ПОЛУЧЕННЫХ РЕЗУЛЬТАТОВ ПОВЕРКИ-  
КАЛИБРОВКИ СЧЁТЧИКОВ РАСХОДА ПРИРОДНОГО ГАЗА**

Жвания Р, Менабде Т, Maisuradze Г.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Работа посвящена разработке методики поверки-калибровки счётчиков расхода природного газа, приспособленной к требованиям современных стандартов. Изложены правила обработки данных измерений и корректного оформления полученных результатов, рассмотрен иллюстративный пример реальных практических измерений.